პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 143 (3627)

23 1968 წ. ივლისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 24-ე წელი.

**დღეს ნომერში:**

დაწინაურდნენ საბჭოთა სტუდენტები — 1-ლი გვ.

„შრომითი რეზერვები" 25 წლისაა — მე-2 გვ.

ვიქტორ სანეევი: გამარჯვება, რეკორდი! — მე-3 გვ.

ბ. სპასკი თუ ვ. კორჩნოი? — მე-4 გვ.




მეორე ოლიმპიურმა ლატარიამ ჩვენს ქვეყანაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ყველა მოძმე რესპუბლიკაში, სამრეწველო ცენტრებში, სოფლებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სკოლებში ასობით მილიონი მანეთის ბილეთი შეიძინეს მშრომელებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ. ყიდულობდნენ ხალისით, ვინაიდან იცოდნენ, რომ ამით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ოლიმპიადის სარბიელზე სსრ კავშირის გუნდის წარმატებაში, ჩვენს ქვეყანაში ახალი სპორტული ბაზების მშენებლობაში.

სპორტსმენებს, ფიზკულტურელებს, ათასობით საბჭოთა ადამიანს, რომლებმაც ოლიმპიური ლატარიის ბილეთები შეიძინეს, დაებადათ აზრი ტირაჟი თამაშების გახსნის დღეს მოწყობილიყო, — ეს მსოფლიოს სპორტსმენთა ფორუმის გახსნის საზეიმო აღნიშვნაც იქნება და ლატარიის გათამაშებასაც მეტ ხალისს მიეცემა.

სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ ყურად იღო ხალხის ნება და გადაწყვიტა ფულისა და ნივთების მეორე სპორტული ლატარიის ტირაჟი გაიმართოს მეხიკოს XIX ოლიმპიადის გახსნის დღეს, 1968 წლის 12 ოქტომბერს, მოსკოვში.

მათთვის, ვისაც ჯერ არ უყიდია ლატარიის ბილეთები, ეს ხელსაყრელიც არის: შეუძლიათ ნებისმიერი რაოდენობით შეიძინონ.

ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს ამ მხრივ როგორაა საქმე ჩვენს რესპუბლიკაში. სადღეისოდ ლატარიის ბილეთების გასაღებაში საქართველო საკავშირო მასშტაბით ლიდერობს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თერჯოლის, ცაგერის, ორჯონიკიძის, ვანის, ხაშურის, ზუგდიდის, თელავის რაიონებმა, რასაც ვერ ვიტყვით სამხრეთ ოსეთზე, საგარეჯოს, ლანჩხუთის, წულუკიძის, გურჯაანისა და ლენტეხის რაიონებზე.

## ორჯერ — ორ დღეში

ორ დღეში ორჯერ გაუმჯობესდა ევროპის რეკორდი ბირთვის კვრაში. ჯერ იყო და, ჩეხოსლოვაკიის ქალაქ სოკოლოვოში დიტერ ჰოფმანმა (გდრ) 20,10 მეტრზე ჰკრა ბირთვი, მეორე დღეს კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჰაინფრიდ ბირლენბახმა იტალიის ქალაქ ბრეშიაში ამ შედეგს 8 სანტიმეტრი წაუმატა.

მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა იუგოსლაველი ვერა ნიკოლიჩიც, რომელმაც ლონდონში 800 მეტრი 2 წუთსა და 0,5 წამში გაირბინა.

## თბილისის „ლოკომოტივის" წარმატება

ხარკოვი, 22 ივლისი (დეპეშით). გუშინ აქ დამთავრდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბიში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ხარკოვის, კაუნასის, თბილისისა და სხვა ქალაქების გუნდები.

ფინალში გასვლისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში თბილისელებმა მოუგეს კაუნასელებს (11:0), შემდეგ ფინალშიც გაიმარჯვეს და მოიპოვეს ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი.

ახლა საქართველოსა და „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონს წინა აქვს მატჩები ბაქოში: საკავშირო პირველობის სამხრეთის ამ ზონალურმა ტურნირმა უნდა გამოავლინოს უძლიერესი კოლექტივი, რომელიც სსრ კავშირის რეგბისტთა I ჩემპიონატის ფინალში იასპარეზებს.



◆ იბსი (ავსტრია), 22 ივლისი. მსოფლიოს სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატის მთავარ ფინალურ ჯგუფში 2 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები — მათ 6 ქულა მოაგროვეს 8-დან. პირველ ორ ტურში სსრ კავშირის გუნდმა დაამარცხა დანიისა (2,5:1,5) და იუგოსლავიის (3,5:0,5) კოლექტივები.

## კარგი სტარტი

მოსკოვი, 21 ივლისი. აქ დაიწყო საკავშირო პროფსაბჭოს წყალბურთელთა პირველობა, რომელშიც მონაწილეობენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ცენტრალური საბჭოების ჩემპიონატებში გამარჯვებული გუნდები.

პირველ ტურში ლენინგრადის „ბალტიკამ" მოუგო კიევის „ვოდნიკს" — 5:1, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა — კაუნასის „ჟალგირისს" — 6:0, თბილისის „ბურევესტნიკმა" — ბაქოს „ნეფტიანიკს" — 13:3, „ლოკომოტივმა" — ლენინგრადის „სპარტაკს" — 6:1.

# დ. ბუხრაშვილი და რ. ჩიკვილაძე — ჩემპიონები

კიევი, 22 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სიჭაბუკის I საზაფხულო თამაშებში დამთავრდა შეჯიბრებები 9 სახეობაში (კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, აკრობატიკა, ტყვიის სროლა, ნიჩბოსნობა).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს რსფსრ-ს კოლექტივი — 158 ქულა, II ადგილზეა უკრაინა — 155, III — მოსკოვი — 141.

მომდევნო ადგილებზე არიან: ბელორუსია (130), საქართველო (118), ლენინგრადი (108), ლატვია (99), აზერბაიჯანი (85), ლიტვა (83), მოლდავეთი (75), ესტონეთი (72), სომხეთი (70), უზბეკეთი (69), ყაზახეთი (63), ყირგიზეთი (35), ტაჯიკეთი (33), თურქმენეთი (26).

ველოსპორტში 5 სახეობის შემდეგ გუნდურ I ადგილს ინარჩუნებენ რსფსრ-ს წარმომადგენლები. ძალიან ცუდად გამოდიან საქართველოს ველოსიპედისტები, რომლებიც ჯერჯერობით XIV ადგილზე არიან.

წყალში ხტომაში ორი დღის შემდეგ დაწინაურდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები — 645,31 ქულა. საქართველოს წარმომადგენლები 364,37 ქულით VI ადგილზე არიან. უმცროსი ასაკის გოგონებში კოშკიდან ხტომაში I ადგილზეა შტირევა (უკრაინა) — 96,49 ქულა. საქართველოს გუნდის წევრი ე. ბოიარკინა VI ადგილზე გავიდა — 61,11. უფროსი ასაკის ჭაბუკებში ტრამპლინიდან ხტომაში 7 ცდის შემდეგ I ადგილზეა კაბირულინი (რსფსრ) — 139,43 ქულა. საქართველოს წყალში მხტომელები ს. ჩუნიხინი და კ. იადრიშნიკოვი V-VI ადგილებზე არიან (შესაბამისად 119,92 და 118,59).

ფინალში ასპარეზობა უბეროდ დაიწყეს ჩვენმა ხელბურთელებმა. პირველი შეხვედრა გოგონებმა წააგეს მოსკოველებთან — 13:18 (6:6). ჭაბუკებმა — უკრაინის წარმომადგენლებთან — 14:27 (6:15).

მაგიდის ჩოგბურთელთა პირადი პირველობის მეთექვსმეტედფინალში ჩვენი რესპუბლიკის ვერც ერთი ჭაბუკი და გოგონა ვერ მოხვდა.

ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში გაიმარჯვეს უკრაინელებმა. საქართველოს სპორტსმენები IX ადგილზე არიან.

საინტერესოდ წარიმართა რაპირისტ გოგონათა ასპარეზობა. ხუთმა მონაწილემ ერთნაირი შედეგით დაამთავრა შეჯიბრება. მათ შორის იყო დ. ბუხრაშვილიც. დაინიშნა ხელახალი შეხვედრები, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქნა სამ სპორტსმენს შორის გაეთამაშებინა პირველობა. აქ შეუდარებელი აღმოჩნდა დალი ბუხრაშვილი, რომელმაც თამაშების ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებაში გუნდური პირველობა მოიპოვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა — 13.726 ქულა. საქართველოს სპორტსმენებმა 13541 ქულა მოაგროვეს და V ადგილზე გავიდნენ.

უფროსი ასაკის ჭაბუკებში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლაში რ. ჩიკვილაძემ ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა (275 ქულა) და ჩემპიონობაც დაისაკუთრა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინელებმა — 1.291 ქულა. საქართველოს სპორტსმენები VI ადგილზე გავიდნენ — 1257.

ამავე ასაკის ჭაბუკებში პნევმატური შაშხანით სროლაში ყველას აჯობა მოსკოველმა პოლიაკოვმა — 352 ქულა. II-III ადგილებზე გავიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები პ. იაშვილი და თ. სვანიძე (348 და 345). ამ სახეობაში გუნდური პირველობა რსფსრ-ს ათლეტებს ხვდათ — 1684 ქულა. IV ადგილზე არიან საქართველოს ტყვიის მსროლელები—1667.

ამავე სახეობაში უფროსი ასაკის გოგონათა შორის საქართველოს გუნდის წევრი ა. პოპოვა V ადგილზე გავიდა — 331 ქულა. გაიმარჯვა ლატვიელმა ზარინიამ — 354 ქულა. უმცროსი ასაკის გოგონებში ტოლი არ ჰყავდა ლიტველ კომეას, რომელმაც 345 ქულა მოაგროვა. საქართველოს გუნდის წევრი ლ. ხმირნოვა 325 ქულით IV ადგილზეა.

აკრობატთა გუნდურ შეჯიბრებაში



პირველობა ბელორუსიელებს ხვდათ — 1004,66 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები VI ადგილზე არიან — 928,415 ქულა. ბატუტზე გუნდური ასპარეზობა მოიგეს რსფსრ-ს აკრობატებმა — 186,2 ქულა, საქართველოს კოლექტივი VIII ადგილზე გავიდა — 135,14. აკრობატულ ხტომებში გოგონათა შორის 74,35 ქულით გაიმარჯვა უკრაინელმა ბუტენკომ. საქართველოს გუნდის წევრი ა. პოლოსიანი VI ადგილზეა — 71,70. ჭაბუკებშიც უკრაინელმა კაზიუკმა აჯობა ყველას — 73,8 ქულა. ჯ. ლაშხი IV ადგილს დასჯერდა (72:85). ჯგუფურ ვარჯიშებში, შერეულ წყვილთა და ბატუტზე ვარჯიშში საქართველოს სპორტსმენები ექვსეულში ვერ მოხვდნენ. ჭაბუკთა წყვილების შეჯიბრებაში საქართველოს აკრობატები ა. თედეევი და გ. დელიბატოვი II ადგილზე გავიდნენ. გაიმარჯვეს ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე რსფსრ-ს სპორტსმენებმა — 144 ქულა.

ჯ. ენუქიძე.

## დღეს

თბილისში პროფტექგანათლების კულტურის სახლში (ბუდაპეშტის ქ. № 1) შედგება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს V საიუბილეო პლენუმი, რომელიც საკავშირო „შრომითი რეზერვების" 25 წლისთავს ეძღვნება.

დასაწყისი 10 საათზე.

## ახალი ამბები

● კასელი, 22 ივლისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობა დასავლეთგერმანელმა ათჭიდელმა კურტ ბენდლინმა, რომელმაც წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 8086 ქულა (ამ ათლეტის მსოფლიო რეკორდი 8319 ქულას უდრის).

● ოხრიდი (იუგოსლავია), 22 ივლისი. იუგოსლავიაში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის — „სოლიდარობის შეხვედრების" ბოლო ორ ტურში შეჯიბრების ლიდერმა, ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატმა სავონმა სულ ნახევარი ქულა მოაგროვა: ერთი პარტია ყაიმით დაამთავრა და ერთიც (გდრ-ის წარმომადგენელთან, დიდოსტატ ულმანთან) წააგო. 9 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) — 7 ქულა. სავონი იუგოსლაველ გლიგორიჩთან ერთად III-IV ადგილებს იყოფს (6-6 ქულა). გელერსა და პოლუგაევსკის 5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. ისინი V-VI ადგილებს იყოფენ.

● სეკი, 22 ივლისი. სამხრეთ ჩეხეთის ამ ქალაქში დამთავრდა ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ოლიმპიური იმედები". გაიმარჯვა რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც ფინალურ მატჩში სძლია საბჭოთა სპორტსმენებს — 3:2 (15:11, 15:12, 10:15, 7:15, 16:14).

● მოსკოვი, 22 ივლისი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა" და სომხეთის „ჰოლოდაშის" ფეხბურთელთა გუნდები. სსრ კავშირში უნგრელთა ტურნეს პირველი მატჩი სტუმართათვის წარუმატებელი გამოდგა: ისინი დამარცხდნენ — 0:1.

# „შრომითი რეზერვები" 25 წლისაა

# საკადრისად!

## „ლელო" ინტერვიუ

**სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკებში, ოლქებში, მხარეებში, ქალაქებში, ყველგან, სადაც პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლები, „შრომითი რეზერვების" საბჭოები და კოლექტივები არსებობს, ზეიმით აღინიშნება ამ საზოგადოების 25 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, „ლელოს" კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს მ. ჩიხლაძეს და სთხოვა მოეთხრო ამ ორგანიზაციის მიერ განვლილ გზაზე, მისი ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობაზე.**

**● რა იყო სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" შექმნის საფუძველი?**

— ლენინური კომკავშირის თაოსნობა. სამამულო ომის მრისხანე დღეებში, 1943 წელს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობამაც. ჩვენს ახალგაზრდობას ვერ აშინებდა ვერც თმისდროინდელი სიძნელენი, ვერც ძნელბედობითი მძიმე განცდები, ვერც ხუთწლედების რთული ამოცანები — საზოგადოება თანდათან იზრდებოდა და მტკიცდებოდა. „ჯანმრთელობის, ძალისა და ამტანობის რეზერვმა", როგორც მას უწოდეს, გამოჩენილი სპორტსმენების, ჩემპიონების, რეკორდსმენების უზარმაზარი არმია აღზარდა. მაგრამ „შრომითი რეზერვების" მთავარი ძალა ისაა, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს იგი ყოველწლიურად აძლევს შევსებას, რომელიც მზადაა ყოველნაირ გამოცდას გაუძლოს.

ჩვენს საზოგადოებაში სპორტი მარტო ფიზიკური წრთობის საშუალება კი არაა, იგი ახალგაზრდებში კოლექტივიზმის, პასუხისმგებლობის, მეგობრობის, პატრიოტიზმის გრძნობასაც ავითარებს. „შრომითი რეზერვების" აღზრდილია სამამულო ომისა და სოციალისტური შრომის ათობით გმირი, გამოჩენილი მოღვაწე. პირველმა საბჭოთა კოსმონავტმა ი. გაგარინმაც „შრომითი რეზერვების" შრომითი და სპორტული სკოლა გაიარა.

**● რას გვეტყვით საქართველოს „შრომითი რეზერვების" ისტორიაზე?**

— „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურმა კოლექტივებმა საზოგადოების შექმნისთანავე გამოიჩინეს თავი: 1947—48 წლებში ცენტრალური საბჭოს სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა თბილისის მე-3 სახელოსნო სასწავლებელმა, სადაც ფიზაღზრდის მასწავლებლად ი. რუხაძე მუშაობდა. ამ ტრადიციას შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის სხვა სასწავლებლები აგრძელებდნენ — თბილისის 31-ე პროფტექსასწავლებლის სპორტსმენებმა ფიზაღზრდის მასწავლებელ კ. ყიფიანის მეთაურობით სამჯერ მოიპოვეს პირველობა. კარგი მაჩვენებლები ჰქონდა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმსაც. თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექსასწავლებლის კოლექტივი ზედიზედ შვიდჯერ აღიარეს საუკეთესოდ სსრ კავშირში, შარშან კი იგი ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშითაც დაჯილდოვდა.

**● კონკრეტულად რა წვლილი შეიტანეს საქართველოს კოლექტივებმა შრომასა და სპორტში მოწინავე ადამიანების აღზრდაში?**

— მგონი, მაგალითად ისიც იკმარებს, თუ გეტყვით, რომ ჩვენთან აღიზარდნენ სოციალისტური შრომის გმირები ეთერ სოლომონია, შ. ფირცხალავა, გ. ბოგვერაძე და სხვ. მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდისთვის იყო, რომ თბილისის მე-6 პროფტექსასწავლებელი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. მეოთხედი საუკუნის მანძილზე 170 ათასი კვალიფიციური მუშა მოვამზადეთ, ამჟამად კი რესპუბლიკის 54 სასწავლებელში 25 ათასი მოსწავლეა. რაც შეეხება სპორტს, „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურულ კოლექტივებში აღიზარდნენ XVI ოლიმპიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ცალქალამანიძე, სსრ კავშირის ჩემპიონები გ. გარსევანიშვილი, ი. მახაშვილი, ვ. კოჩერგინი, ჩემპიონატების პრიზიორები — რ. გალაჯევი, გ. ლიტვინოვი, კ. ჯინჭარაძე, სსრ კავშირის რეკორდსმენი ვ. სანაძე. სპორტის ოსტატობა ჩვენთან შეასრულა ამჟამად ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონმა ო. ბლიაძემ, სპორტსმენებად „შრომითი რეზერვების" სექციებში ჩამოყალიბდნენ ვ. ელოშვილი, კ. გაგნიძე, მ. ჯოჯუა, რ. მახარაძე, ა. ზაზროევი, ა. პაიჭაძე, ლ. ინწკირველი, გ. აბაშიძე და სხვ. 25 წლის განმავლობაში აღვზარდეთ 77 სპორტის ოსტატი, 1600 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. ამჟამად 65 სპორტის ოსტატი, 260 კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, ათასობით სხვა თანრიგების სპორტსმენი და საზოგადოებრივი კადრი გვყავს. ჩვენი საზოგადოების ფიზკულტურული კოლექტივების ნაყოფიერი შრომის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ საკავშირო სოცშეჯიბრებაში შვიდჯერ ზედიზედ მოიპოვა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

**● რამ განაპირობა ეს წარმატებები?**

— მასობრიობამ, სპორტში რაც შეიძლება მეტი ჭაბუკისა და გოგონას მიზიდვამ, სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობის კარგად დაყენებამ, სპორტული შედეგების ზრდისთვის ზრუნვამ. სასწავლებლებში ფიზკულტურულ მუშაობას მაღალი კვალიფიკაციის კადრები ხელმძღვანელობენ, სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები, სპარტაკიადები. ფიზკულტურის კოლექტივებში გაერთიანებულია მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი და მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტი. სათანადო დონეზეა დილის ჰიგიენური და საწარმოო ტანვარჯიში. რეგულარულად ეწყობა ტურისტული ლონისძიებები, ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ტურისტული ლაშქრობანი საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. ამჟამად მე-11 სასწავლებლის ტურისტები ველოსიპედებით მიდიან ბრესტამდე, სადაც წლევანდელი საკავშირო ტურისტული შეკრების ფინალი ეწყობა. წარმატებაში დიდად გვეწყობს ხელს ისიც, რომ ფიზკულტურის მოწინავე მუშაკთა რიგებიდან ყოველწლიურად ვადგენთ ბრიგადებს, რომლებიც სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებს ეხმარებიან მუშაობის უკეთ დაყენებაში. პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის მეთოდურ კაბინეტთან მუშაობს ფიზაღზრდის სექცია, რომელიც სისტემატურად მსჯელობს ფიზაღზრდის მეთოდური ხასიათის საკითხებზე, იხილავს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, აწყობს ღია გაკვეთილებს, ისმენს ფიზაღზრდის ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

**● გვიამბეთ, რა მაჩვენებლებით ეგებებიან „შრომითი რეზერვების" 25 წლის იუბილეს საქართველოს კოლექტივები?**

— წარმატებებზე ნაწილობრივ უკვე ვილაპარაკეთ. იუბილესთვის სამზადისი დიდი ხანია დავიწყეთ: ყველა სასწავლებელში სპეციალური ღონისძიებები ჩატარდა — მოეწყო სტენდები, სპორტული შეჯიბრებები, ბოლოს კი — XXI საიუბილეო რესპუბლიკური სპარტაკიადა. ასპარეზობის ფინალში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, სამტრედიის, გორის, ბორჯომისა და სხვა ქალაქების 22 კოლექტივი მონაწილეობდა. სპარტაკიადის პროგრამის 15 სახეობაში სულ 22.500 სპორტსმენი ცდიდა ძალას. სპარტაკიადის შედეგები „ლელომ" უკვე დაბეჭდა, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, რომ გამარჯვებულთა — თბილისის მე-11 სასწავლებლის ვაჟთა და 27-ე სასწავლებლის ქალთა გუნდების გარდა თავი გამოიჩინეს თბილისის მე-5, 31-ე, 35-ე, 38-ე, ველისციხის მე-13 სასწავლებლების წარმომადგენლებმა.

დღეს ჩვენი ფიზკულტურელების განკარგულებაშია 2 სტადიონი, 13 კომპლექსური მოედანი, ფეხბურთის 17 მინდორი, კალათბურთის 37 და ფრენბურთის ამდენივე მოედანი, 3 კორტი, 1 დახურული და 7 ღია აუზი, 26 დარბაზი. 1970 წლისთვის ყველა სასწავლებელს საკუთარი ბაზა ექნება. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმა-ვალდებულება ნახევარი წლის მანძილზე 60-ზე მეტი პროცენტით გავანაღდეთ, ხოლო „შრომითი რეზერვების" XI საკავშირო სპარტაკიადაში (მინსკი) ტანვარჯიშში პირველობა მოვიპოვეთ (სხვა სახეობებში ტურნირი ჯერ არ დაწყებულა), ნათელი გახდება, რომ იუბილეს საკადრისი მაჩვენებლებით ვხვდებით.

> ## საპატიო წიგნში
>
> მოსწავლეთა და მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის განვითარების საქმეში მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა და ცენტრალური საბჭოს საპატიო წიგნში შეიტანა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭო, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკური საბჭოები, აგრეთვე, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები, რომელთა შორისაა თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექსასწავლებლის კოლექტივი.

## სპორტის ოსტატსაც მოვამზადებთ

ქუთაისის მე-4 პროფტექნიკურმა სასწავლებელმა თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე 5 ათასზე მეტი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი აღზარდა, რომლებმაც მთელს რესპუბლიკაში გაუთქვეს სახელი სასწავლებელს.

კარგი მუშაობისთვის ამ სასწავლებელმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ოქროს მედალი და პირველი ხარისხის ორი დიპლომი დაიმსახურა, ამას გარდა, სამუდამოდ დაისაკუთრა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მე-4 სასწავლებლის კოლექტივი არც სპორტში დაუდებს ვინმეს ტოლს. ამჯერად ჩვენი სტუმრობის მიზანიც სწორედ მისი ფიზკულტურული ცხოვრების გაცნობა იყო.

სპორტული დარბაზი მოკრივეებს დაეპყროთ — ტ. ჯავახაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ. ადრე იგი ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივედ ითვლებოდა; აქ კი, სასწავლებელში, უკვე რამდენიმე წელია კრივის სექციას უდგას სათავეში და ბევრს შეაყვარა სპორტის ეს ეფექტური სახეობა.

მწვრთნელის აზრით, კრივის სპეციალისტების მთავარი ამოცანაა გულმოდგინედ ეძებონ კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები და აგრძნობინონ მათ ამ სპორტის მთელი სილამაზე. როცა მიზანი ნათელია, მუშაობაც იოლდება. მწვრთნელს იმედი გაუმართლდა: მოკრივეთა გუნდს ქალაქში საუკეთესო კოლექტივის სახელი აქვს მოპოვებული.

ამ დარბაზში აიდგეს ფეხი მოჭიდავეებმა: სპორტის ოსტატმა ზ. იმერლიშვილმა, ზ. კაცაძემ, ჯ. მშვილდაძემ, მოფარიკავეებმა, სპორტის ოსტატმა ს. ლატარიამ და სხვ. ძლიერი გუნდები ჰყავთ ფრენბურთში, ფეხბურთში, განსაკუთრებით კი ტურიზმი უყვართ.

ფიზაღზრდის ხელმძღვანელმა კ. ცირეკიძემ გვითხრა:

— შარშან ჩვენ სასწავლებელში მომზადდა 25 პირველი, 33 მეორე, 337 მესამე და 403 ჭაბუკთა თანრიგის სპორტსმენი. მაგრამ ამას არ ვჯერდებით. განზრახული გვაქვს წლეულს ერთი სპორტის ოსტატი მოვამზადოთ და მნიშვნელოვნად გავზარდოთ მაღალთანრიგოსანთა რიცხვი.

**რ. მებრაძლიშვილი.**

ქუთაისი.

# მონდომებაა ასე იცის

აქ ყოველი დღე დილის დატვირთით იწყება, შემდეგ დღის რეჟიმის სხვა პუნქტები შედის ძალაში. ყოფილი რკინიგზის № 1 სასწავლებელი ახლაც რკინიგზელ მუშებს უზრდის ღირსეულ ცვლას. გვაქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, სამქროები. სპორტის მოყვარული ახალგაზრდებისთვის ფიზიკური წრთობის ყველა პირობაა შექმნილი. ჩვენი სასწავლებლის ტერიტორიაზეა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თითქმის ყველა ბაზა — სტადიონი, მძლეოსნური სექტორები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დარბაზები, აუზები. რა თქმა უნდა, ცენტრალურ სექციებშიც ბევრი ვარჯიშობს, მაგრამ სასწავლებლის მძლეოსნობის, სპორტული თამაშების, ტანვარჯიშის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთისა და ცურვის სექციებშიც განსაკუთრებით ბევრი სპორტსმენია გაერთიანებული. კარგად მუშაობს ფიზაღზრდის ხელმძღვანელი კ. ყიფიანი, რომელსაც მხარში უდგას მთელი პედაგოგიური კოლექტივი — მასწავლებლები საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვებიან სექციებს.

მონდომებას შედეგიც სათანადო მოსდევს. ჩაება რა საზოგადოების 25 წლის იუბილეს აღსანიშნავ სოცშეჯიბრებაში, ჩვენმა კოლექტივმა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლიური გეგმა 6 თვეში გაანაღდა: 13-ის მაგიერ მოვამზადეთ 14 პირველთანრიგოსანი, 40 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 84, სხვა თანრიგების 377 სპორტსმენის მაგიერ — 788. ასევე გადაჭარბებით გავანაღდეთ ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმებიც.

სკოლის კოლექტივს (დირექტორი — სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე) განზრახული აქვს მაღალი მაჩვენებლებით შეხვდეს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავსაც.

**ა. ჟუჟუნიძე,**
თბილისის 31-ე სასწავლებლის დირექტორის მოადგილე, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — 31-ე პროფტექსასწავლებლის ახალგაზრდობასთან მეცადინეობას ატარებს სწავლების ოსტატი რ. ალეკაური; მარჯვნივ — ამ სასწავლებლის მოსწავლეთა საჭადრაკო ტურნირის მომენტი.

ფოტო გ. კაკაშვილისა.



## ფეხბურთი -68

### [illegible]

კიევის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრით დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. ასევე მეორე წრის შეხვედრა გაიმართა 20 ივლისს. მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსა“ და „ზარიას“ შორის. მოსკოველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ეს გოლი ლუგანსკელთა კარში გაიტანა დინამოელთა მცველმა ანიჩკინმა.

I წრის შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერები არიან გ. აბდურაიმოვი („პახტაკორი“, ტაშკენტი) და ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მოსკოვი). თვითეულმა მათგანმა გაიტანა 10 ბურთი. გ. ქუსაინოვის („სპარტაკი“, მოსკოვი) ანგარიშზეა 9 გოლი, ხოლო ო. კოპაევისა (ასკ, როსტოვი) — 8.

„ა“ კლასი I ჯგუფი

## სსრ კავშირის პირველობა

### უხეიროდ

20 ივლისს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

საქართველოს სამივე წარმომადგენელმა მარცხი განიცადა გასვლით შეხვედრებში. ბათუმის „დინამო“ ანგარიშით 2:3 დამარცხდა ყაზანის „რუბინთან“, ტყიბულის „მეშახტემ“ წააგო იოშკარ-ოლაში „სპარტაკთან“ (0:1), ხოლო სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდა „ურალმაშს“ — 4:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 1:0, „ვოლგა“ (გორკი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:0, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 2:1, „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:0, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:2.

„ა“ კლასი II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 20 | 11 | 7 | 2 | 26—9 | 29 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 20 | 9 | 9 | 2 | 15—7 | 27 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 20 | 10 | 5 | 5 | 28—13 | 25 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 20 | 8 | 7 | 5 | 21—14 | 23 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 20 | 7 | 9 | 4 | 21—15 | 23 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 20 | 8 | 6 | 6 | 27—20 | 22 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 20 | 8 | 6 | 6 | 19—20 | 22 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 20 | 7 | 7 | 6 | 17—15 | 21 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 20 | 6 | 8 | 6 | 25—23 | 20 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 20 | 7 | 6 | 7 | 21—21 | 20 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 20 | 6 | 8 | 6 | 16—18 | 20 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 19 | 6 | 7 | 6 | 21—17 | 19 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 20 | 5 | 8 | 7 | 15—15 | 18 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 19 | 7 | 4 | 8 | 23—24 | 18 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 20 | 7 | 4 | 9 | 17—23 | 18 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 20 | 5 | 8 | 7 | 14—22 | 18 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 20 | 4 | 9 | 7 | 22—26 | 17 |
| „თერგი“ (გროზნო) | 20 | 5 | 6 | 9 | 18—23 | 16 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 20 | 4 | 7 | 9 | 16—28 | 15 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 20 | 4 | 7 | 9 | 15—30 | 15 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 20 | 1 | 10 | 9 | 13—27 | 12 |

## სსრ კავშირის თასი

# დღეს გაიმართება მერვედფინალური შეხვედრები



ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში კვლავ პატარა, ერთკვირიანი პაუზაა 26 ივლისამდე. დღეს ჩატარდება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

შევახსენებთ თასის ამ ეტაპის წყვილებს: ტაშკენტის „პახტაკორი“ თავის მინდორზე ეთამაშება სარატოვის „სოკოლს“, მინსკის „დინამო“ — ლუგანსკის „ზარიას“, კიევის არმიელთა გუნდი — კემეროვოს „კუზბასს“, დონეცკის „შახტიორი“ — კიევის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედო“ — ცსკა-ს, ალმა-ათის „კაირატი“ — მოსკოვის „დინამოს“ და ბაქოს „ნეფტჩი“ — აშხაბადის „სტროიტელს“.

თბილისის „დინამო“ სვერდლოვსკში ხვდება ადგილობრივ „ურალმაშს“ (მატჩის ჩატარების ადგილი გადაწყდა კენჭისყრით). ეს გუნდი საკავშირო ჩემპიონატში გამოდის „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფში, სადაც საქართველოს გუნდებიც მონაწილეობენ და სადღეისოდ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია.

სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩს ხჯის მოსკოველი არბიტრი ა. მარტინოვი.

## მოსკოვის „დინამო“ ეთამაშება „ოლიმპიაკოსს“

ათენი, 22 ივლისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი წრის მატჩში მოსკოვის დინამოელები ადგილობრივი კლუბის — „ოლიმპიაკოსის“ ფეხბურთელებს შეხვდებიან. საბერძნეთის თასზე გუშინ გამართულ ფინალურ მატჩში „ოლიმპიაკოსმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „პანათინაიკოსი“.

## მინდორზე — ნორჩები

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის სტადიონზე ჩატარდა საოლქო შეჯიბრება ნორჩ ფეხბურთელთა შორის „ტყავის ბურთის პრიზზე“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების გუნდები.

უმცროსი ასაკობრივი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქ. ცხინვალისა და ლენინგორის რაიონის გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ლენინგორელებმა.

უფროს ასაკში უძლიერესი აღმოჩნდა ქ. ცხინვალის გუნდი, რომელმაც ფინალში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ლენინგორის რაიონის წარმომადგენლები.

შეჯიბრებამ გამოავლინა ნიჭიერი ნორჩი ფეხბურთელები ო. დურგლიშვილი, მ. ჭყონია, ს. თინიკაშვილი, ნ. ეკალაძე, ა. ილურიძე, ლ. ასაევი, ს. თიგოევი (ლენინგორი), ვ. გაზაევი, ა. არბოლიშვილი, ვ. სარონინი, ო. თედეევი, გ. მოწონელიძე, ო. გოლოვანოვი, ზ. ჭულუხაძე, ვ. ვალიევი (ცხინვალი) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზნაურისა და ცხინვალის რაიონებმა პრიზის გათამაშებაში ვერ გამოიყვანეს უმცროსი ასაკის გუნდები, ხოლო ჯავის რაიონმა საერთოდ არ მიიღო მასში მონაწილეობა.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

# სცადეს და მიაღწიეს!

ძმები ზნამენსკების მემორიალი მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან ეს მძლეოსანთა ნახევარწლიანი მუშაობის შემაჯამებელი ტურნირი და წლიწადის სხვა დიდ შეჯიბრებათა წინ ძალთა გენერალური შემოწმების საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ წლევანდელმა შეჯიბრებამ, რომელიც შაბათ-კვირას ლენინგრადის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, განუზომელი ყურადღება მიიქცია. ეს გასაგებიცაა: მეხიკოს ოლიმპიადამდე სამ თვეზე ნაკლები დრო დარჩა და მსოფლიოს თითქმის ყველა მძლეოსანს სურდა აქ მოესინჯა ძალა. ერთი სიტყვით, ასპარეზობამ მონაწილეთა არნახული რაოდენობა (მასპინძელთა გარდა, შეჯიბრებაში საზღვარგარეთის 17 ქვეყნის წარმომადგენლები ჩაებნენ) მიიზიდა და რეკორდების სიუხვითაც აღინიშნა.

რეკორდებზე იერიში სპრინტერებმა დაიწყეს. 100 მეტრზე რბენაში თავი ისახელა გომელის პედინსტიტუტის მეოთხეკურსელმა ვლადისლავ საპეიამ, რომელმაც წინასწარ გარბენში 10,2, მეოთხედფინალში — 10,1, ნახევარფინალში კი ზუსტად 10 წამი აჩვენა. საპეიამ სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა და ევროპის რეკორდი გაიმეორა (ფინალში უცილას აჯობა დროით — 10,2). აღსანიშნავია, რომ ვლადისლავი ადრე თავისუფალ ჭიდაობას ეტანებოდა, I თანრიგამდე თითქმის ალარაფერი აკლდა და ეს სახეობა მხოლოდ ინსტიტუტში შესვლის შემდეგ გაცვალა „სპორტის დედოფალზე“.

მაგრამ მარტო საპეია როდი იყო ამ დღის გმირი. 100 მეტრზე თარჯრბენში საკვალიფიკაციო შეჯიბრებისას იაროსლაველმა გ. კუზნეცოვამ 13,7 აჩვენა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა, რაც ევროპული რეკორდის გამეორებაა. წარმატება შემთხვევითი რომ არ იყო, კუზნეცოვამ ფინალშიც დაადასტურა — ამჯერადაც ზუსტად 13,7!

110 მეტრზე თარჯრბენში საკავშირო რეკორდს (13,7) დიდი ხანია უტევს ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. ბალიხინი. ნახევარფინალში მან 13,6 აჩვენა, ფინალში — 13,5, მაგრამ ზედმეტი ზურგქარის გამო ეს შედეგები რეკორდებად არ ჩაითვლება. სწორედ ამიტომ საკავშირო რეკორდად არც ქალთა სპრინტში (100 მ) გამარჯვებული ლ. სამოტიოსოვას წინასწარ შეჯიბრებაში ნაჩვენები მაღალი შედეგი (11,2) ჩაითვლება. ფინალიც მანვე მოიგო — ქვეყნის რეკორდი გაიმეორა — 11,3.

სიგრძეზე ვაჟთა ხტომაში ჩვენში სეზონის საუკეთესო შედეგს მიაღწია ლ. ბარკოვსკიმ (კიევი) — 804 სმ.

ამ დღეს გათამაშდა მემორიალის ერთ-ერთი მთავარი პრიზი 5000 მეტრზე რბენაში. იგი მემორიალის რეკორდით დაისაკუთრა აფრიკელმა კ. კეინომ — 13.36,2.

ქალთა შორის ბირთვის კვრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგო ნ. ჩიჟოვამ — 17,66. ვ. ტრუსენიოვმა უცილას აჯობა ბადროს ტყორცნაში (56,84), ა. ხმარსკიმ — სიმაღლეზე ხტომაში (212 სმ), დ. ჟავორსკამ (პოლონეთი) — შუბის ტყორცნაში (56,04).

მეორე დღეს ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ძველ მსოფლიო მიღწევას, რომელიც 1959 წლიდან ა. ვედიაკოვს ეკუთვნოდა, ხუთმა მძლეოსანმა „გადააბიჯა“, პირველობა კი სვერდლოვსკელ გ. აგაპოვს დარჩა — 1:25.21,4 (ამ სახეობაში რეკორდებად ითვლება მხოლოდ სტადიონის ბილიკებზე ნაჩვენები შედეგები).

უროს ტყორცნაში რ. კლიმმა უნგრელი დ. ჟივოცკის მსოფლიო რეკორდზე მიიტანა იერიში. თუმცა მან მიზანს ვერ მიაღწია, სსრ კავშირის ახალი რეკორდი მაინც დაამყარა (73,18) და გამარჯვებაც დაისაკუთრა. მეორე იყო გ. კონდრაშოვი — 70,52. 69 მეტრს კიდევ 5 ათლეტმა გადააცილა: ასეთი რამ ოლიმპიადებშიც არ ხდება! სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა კიეველმა ვ. კუდინსკიმაც 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში — 8.25,7. ეს 0,9 წამით სჯობს მისსავე ძველ მიღწევას, რომელიც შარშანწინ ბუდაპეშტში აჩვენა და 0,7 წამით — გ. რუსლანტსის (ბელგია) ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

ზნამენსკების მეორე მთავარი პრიზი, ტრადიციისამებრ, 10.000 მეტრზე რბენაში გათამაშდა. მას ი. მააზე (გდრ) დაეპატრონა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ამ სახეობის ისტორიაში პირველად ერთბაშად 10 კაცი გამოვიდა 29 წუთის ფარგლებიდან. მააზემ ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა (28.04,4), რაც რუსლანტსის ძველ მიღწევას 6,2 წამით სჯობს. მეორე პრიზიორმა — კეინომ აფრიკის რეკორდი გააუმჯობესა (28.06,4), ნ. სვირიდოვმა კი სსრ კავშირისა (28.09,0). ვორონეჟელის ეს შედეგი 9,2 წამით აღემატება პ. ბოლოტნიკოვის მიერ 6 წლის წინათ დამყარებულ საკავშირო რეკორდს.

საინტერესოდ წარიმართა სიმაღლეზე ხტომაში ქალების ასპარეზობა. 177 სმ-ზე გადებული თამასა მხოლოდ ორმა სპორტსმენმა დაძლია — სსრ კავშირის რეკორდსმენმა ა. ოკოროკოვამ და ლენინგრადელმა ვ. გრუშკინამ. მერე ორივემ 180 სმ-ს შეუტია, მაგრამ ოკოროკოვა ამჯერად ამაოდ დაშვრა: მეორე ადგილს დასჯერდა. ვინაიდან გრუშკინამ 180 სანტიმეტრიც დაძლია. მასპინძელმა „183-ანსაც“ შეუტია, მაგრამ უნაყოფოდ. გამარჯვებულის მაჩვენებელი ლენინგრადის ახალი რეკორდია და მეორე შედეგი ამ სახეობის ისტორიაში ჩვენში. III ადგილზეა კ. პუშკაროვა — 174.

80 მეტრზე თარჯრბენის ფინალში ვერ ვიხილეთ მსოფლიო რეკორდსმენი ვ. კორსაკოვა, ამიტომ მთავარ ფავორიტებად აქ გ. კუზნეცოვასა და თბილისელ ლ. იევლევას მიიჩნევდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ფავორიტები საპრიზო საფეხურის მიღმა დარჩნენ, გამარჯვება კი ტ. ტალიშევას ხვდა — 10,6.

მემორიალის წინა ათ გათამაშებაში 1500 მეტრზე რბენაში პრიზს მუდამ საზღვარგარეთელი სპორტსმენები ისაკუთრებდნენ. ეს ტრადიცია დაარღვია რიგელმა უ. რუბენზინმა, რომელმაც ფინიშთან ყველას მიასწრო, მემორიალის მიღწევა და ლატვიის ახალი რეკორდი დაამყარა — 3.42,0.

სამხტომში საქართველოს ახალი რეკორდით ყველას აჯობა ვ. სანეევმა — 16,84 მ.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ქალებში — 200 მ რბენაში — ლ. სამოტიოსოვამ — 23,5, 800 მ — რ. ერიკმა — 2.05,7, ბადროს ტყორცნაში — ა. პოპოვამ — 55,32; ვაჟებში — 200 მ — ნ. ივანოვმა — 21.1, 400 მ — ა. ბრატჩიკოვმა (მოსკოვი) — 46,9 (ასეთივე შედეგით მეორე იყო ლენინგრადელი ბ. სავჩუკი), 800 მ — ს. არჟანოვმა — 1.49,4.



ს უ რ ა თ ზ ე: რ. კლიმი ასპარეზობისას.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.

## ცხელი კვალით

● ლენინგრადი, 21 ივლისი. ადგილობრივი „ზენიტი“ საბჭოთა ფეხბურთელთაგან პირველი შეხვდა იაპონიის ოლიმპიურ ნაკრებს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:0. გოლების ავტორები არიან უნანოვი (3), პოლოსოვი (2) და გონჩაროვი.

● უფა, 21 ივლისი. გუშინწინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი წიდოვან ბილიკზე მოტორბოლაში. ჩემპიონის სახელი მეხუთედ მოიპოვა აქაურმა ი. პლეხანოვმა. ორი მომდევნო პრიზიორის გამოსავლენად საჭირო შეიქნა დამატებითი სერიის მოწყობა, რის შემდეგ II ადგილი მიეკუთვნა გ. კურილენკოს (უფა), ხოლო III — ვ. სმირნოვს (ლენინგრადი).

● ლოს-ანჯელოსი, 22 ივლისი. მოცურავეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიოს 4 რეკორდი დამყარდა. 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დები მაიერმა (აშშ) 17.31,2 აჩვენა — 19 წამი ჩამოაკლო საკუთარ მიღწევას. ამ გაცურვისას მაიერმა თავისი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა 800 მეტრზეც — 9.19,0 (ძველი რეკორდი — 9.22,9 შარშან დაამყარა 15 წლის ამერიკელმა). მესამე მსოფლიო რეკორდის ავტორია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი კარენ მიური: 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მისი შედეგია 2.23,8 (ძველი მიღწევა 0,3 წამით უარესი იყო და მასვე ეკუთვნოდა). 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 16 წლის ამერიკელმა გერი ჰოლმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 4.43,4. ძველი რეკორდი გამარჯვებულის თანამემამულე გრეგ ბეკინგჰემს ეკუთვნოდა და 1,7 წამით უარესი იყო.

● ლეავარდენი (ჰოლანდია), 22 ივლისი. აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში. გამარჯვების ბედი კოეფიციენტთა ცხრილმა გადაწყვიტა. სამმა მონაწილემ 8-8 ქულა მოაგროვა 11-დან. I ადგილი მიეკუთვნა მოსკოველ შჩოგოლევს, II — მსოფლიო ჩემპიონ ანდრეიკოს (რიგა), III — ჰოლანდიის ჩემპიონ სიებრანდსს. ამ III ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, შვეიცარიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰაიტისა და ჰოლანდიის მოთამაშეები.

# უსინათლონი დარბიან, ჭიდაობენ, ცურავენ...

იყო დრო, როცა უსინათლოთა სპორტი წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, მაგრამ დღეს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ფიზკულტურულ კოლექტივში ბევრი სხვადასხვა სახეობაა დანერგილი: ცურვა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ჭიდაობა... ამ საზოგადოების ფიზკულტურელები მარტო შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს როდი სჯერდებიან, — საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზეც წარმატებით გამოდიან.

უსინათლო ფიზკულტურელების განკარგულებაშია სოლოლაკის სპორტული ბაზები, ცურვასა და მძლეოსნობაში სავარჯიშოდ კი სპორტსმენები „სპარტაკის" აუზზე და „ლოკომოტივის" სტადიონზე დადიან. მძლეოსნებს, მაგალითად, ავარჯიშებენ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები ვ. ფოფხაძე და გ. ნადირაშვილი.

ზრუნვას უშედეგოდ არ ჩაუვლია. შარშან კლასიკურ მოჭიდავეთა პირად საკავშირო პირველობაში ყველას აჯობა ი. მანგასარიანმა (57 კგ), ე. მანჯაშვილმა (70 კგ) კი II ადგილი დაიკავა.

საქართველოს უსინათლო მოჭადრაკეთა წლევანდელ ტურნირში გამარჯვებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა თბილისელ სპორტსმენებს გ. ჭუმბურიძესა და მ. კაკოშვილს შორის გაჩაღდა. ჩემპიონობა ჭუმბურიძემ დაისაკუთრა.

საინტერესო იყო მძლეოსანთა ტურნირი. 60 მეტრზე რბენაში უსინათლოთა მსოფლიო მიღწევა 7,2 წამია, საქართველოს რეკორდი კი — 7,8 წამი — ი. მანგასარიანს ეკუთვნის. ეს მაჩვენებელი 0,2 წამით ჩამოუვარდება საკავშირო მიღწევას. მანგასარიანს ეკუთვნის რესპუბლიკური რეკორდი სიგრძეზე ხტომაშიც — 480 სმ.

საქართველოს უსინათლო მძლეოსანთა შეჯიბრებებში კარგად გამოდიან ო. ჩაჩანიძე, გ. ფარეხელაშვილი, მ. მეგრელიშვილი, ჯ. წიკლაური, რ. ბერუაშვილი და სხვ.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სპორტსმენებს წლეულს განსაკუთრებით ბევრი ტურნირი აქვთ დაგეგმილი: აგვისტოში კრასნოდარში იასპარეზებენ ცურვაში, სექტემბერში მოშაშეები გამოვლენ კიშინიოვში, ოქტომბერში მოსკოვის, როსტოვისა და ლენინგრადის მოჭიდავეები ამხანაგური მატჩების გასამართავად თბილისს ეწვევიან...

ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით საზოგადოების პრეზიდიუმმა დასახა სათანადო ღონისძიება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი კეთილმოწყობილი ბაზების მშენებლობას ითვალისწინებს.

**მ. რამიშვილი,**
**ფიზკულტურის ინსტრუქტორი.**

* * *

სურათებზე: ზევით, მარცხნივ — ბირთვის კვრაში ვარჯიშობს ო. ჩაჩანიძე; მარჯვნივ — საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში გ. ჭუმბურიძე; შუაში — მოჭიდავეთა ტურნირის მომენტი. მარჯვნივაა ჩემპიონატის პრიზიორი მანჯოშვილი; ქვევით — უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გაჩეჩილაძე და მისი მოადგილე ა. გოგიბერიძე კლასიკურ მოჭიდავეთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებას ულოცავენ ი. მანგასარიანს.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა.






# სპასკი — კორჩნოის მეტოქე

**მალმე** (შვეცია), **21 ივლისი.** გუშინ აქ დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და ბ. ლარსენის (დანია) ნახევარფინალური მატჩი, რომელიც საბჭოთა დიდოსტატმა მოიგო — 5,5:2,5.

ორთაბრძოლის ბედის გადასაწყვეტად 10 პარტიაც კი არ შეიქნა საჭირო: ყველაფერი VIII პარტიაში „მოთავდა". სპასკის ხელს აძლევდა ყაიმი და ამიტომ ლაზიერის გამბიტის მშვიდობიანი სისტემა აირჩია. სხვათა შორის, ეს სისტემა მისი მწვრთნელის — დიდოსტატ ი. ბონდარევსკის სახელსაც ატარებს. საბჭოთა მოჭადრაკემ თანდათან გაათანაბრა პოზიცია, ხოლო ლარსენის დაუკვირვებელი თამაშის შემდეგ პაიკიც მოიგო. მაგრამ სპასკიმ თავი აარიდა უპირატესობის რეალიზებას — 33-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. ლარსენმა მიიღო იგი.

ამრიგად, სპასკიმ მოიპოვა უფლება განაგრძოს ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის. პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში იგი ვ. კორჩნოის შეხვდება.

### ჩვენი კომენტარი

ლარსენი გაწბილდა. მისი მკვეხარა განცხადებები ლიტონ სიტყვებად დარჩა — სპასკიმ გაანადგურა იგი. პრეტენდენტთა მატჩების ისტორიაში ლარსენმა თავისებური „რეკორდი" დაამყარა: სტარტზე სამი პარტია წააგო ზედიზედ.

სპორტული ბრძოლა დანიელისთვის ასე წარიმართა: 0:1; 0:2; 0:3; 0,5:3,5; 1,5:3,5; 2:4; 2:5; 2,5:5,5. როგორც ხედავთ, ლარსენმა 4 პარტია წააგო, 1 მოიგო და 3 ყაიმით დაამთავრა.

რა თქმა უნდა, ლარსენის ფიასკოს მიზეზი მატჩის პარტიებში უნდა ვეძიოთ. ცნობილია, რომ ლარსენი სატურნირო მებრძოლია, მატჩებში კი მძიმედ განიცდის თვითეული პარტიის წაგებას. ამიტომ მარცხი 1 პარტიაში კარგს არაფერს უქადდა. სხვათა შორის, ეს პარტია მას ცუდად არ უთამაშია, მაგრამ გადაჭარბებული ოპტიმიზმით შეაფასა თავისი პოზიცია. წაგებამ... სიფრთხილე მოუდუნა და დაისაჯა კიდეც. მას თითქმის არც ერთ შეხვედრაში არ გამოუმჟღავნებია დიდოსტატური ძალა.

თუ პარტიებს სპასკის პოზიციებიდან გადავავლებთ თვალს, საბჭოთა დიდოსტატის დიდ ძალას, ხელოვნის მდიდარ პალიტრას ვიგრძნობთ. სპასკი ბრწყინვალე თამაშობდა. არც ერთ მომენტში არ დაუკარგავს წონასწორობა, არ „გადიდგულებულა", მეტოქის ჩანაფიქრს მუდამ პატივისცემით ეკიდებოდა. სპასკის გამარჯვება დამსახურებული და შთამბეჭდავია.

სპასკი — კორჩნოის მატჩი აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყება. მეტოქენი 12 პარტიას გაითამაშებენ. თუ პაექრობა ყაიმით დამთავრდა, დიდოსტატები დამატებით პარტიებს ითამაშებენ.

სპასკი თუ კორჩნოი? ეს კითხვა ახლა ყველას აღელვებს. ორივე დიდოსტატმა დაამტკიცა, რომ თვითეული მათგანი ტ. პეტროსიანის ღირსეული მეტოქე იქნება.

სპასკი და კორჩნოი ლენინგრადის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ზაკის აღზრდილნი არიან. ტურნირებში ისინი 1947 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს. შეხვედრების ანგარიში ვერც ერთმა ვერ აღადგინა. კორჩნოიმ მხოლოდ ის გაიხსენა, რომ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში მათი ბოლოდროინდელი შეხვედრების ანგარიშია 5:3 მის სასარგებლოდ.

სპასკისა და კორჩნოის მატჩი მეტად მიმზიდველ ბრძოლას გვპირდება. დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა!

**თ. გიორგაძე.**

# სწრაფი „ნორდი"

**ჰელსინკი, 20 ივლისი.** გუშინ აქ გრძელდებოდა ევროპის პირადი პირველობა აფროსნობაში — შეჯიბრება „ურჩხულის" კლასში ტარდებოდა. ორი სტარტის შემდეგ I ადგილზე კვლავ საბჭოთა აფროსანი ი. ანისიმოვია, რომელიც „ნორდით" გამოდის სარბიელზე. მას 3 ქულა აქვს, თუმცა ფინიშთან მესამე იყო. ანისიმოვს 3 ქულით ჩამორჩება გდრ-ის წარმომადგენელი რ. შვარცი („კინგი"). III ადგილზეა შვედი სპორტსმენი რ. ბრობრგი („მალკასი") — 7 ქულა. ამ შეჯიბრების მეორე საბჭოთა მონაწილე ე. კირსიპუუ („მიგი") ორი სტარტის ქულების ჯამით X ადგილზეა — 10 ქულა.

შეჯიბრების დროს კარგი ამინდი იყო. ჰქროდა სამხრეთის ქარი — წამში 3,5-4 მეტრი. ფინიშთან ქარმა ყველა მხრიდან დაუბერა, მაგრამ ამას დღევანდელი შეჯიბრების დამთავრებისთვის ხელი არ შეუშლია.

# ცისფერი ტრასების დამპყრობნი

**ორიოლი, 20 ივლისი.** აქ მიმდინარეობს ქვეყნის პირად-გუნდური პირველობა საპლანერო სპორტში. ჩემპიონის სახელი და ოქროს მეორე მედალი დაისაკუთრა საერთაშორისო კლასის ოსტატმა ე. რუდენსკიმ (უკრაინა). იგი 200 კმ სისწრაფით მიჰქროდა მიზნისკენ და მთელი გზა 3 საათში, 8 წუთსა და 17 წამში გაიარა. მეორე იყო ვ. ქუკასი (ლიტვა), მესამე — ყაზახეთის ახალგაზრდა პლანერისტი კუზნეცოვი.

ქალებში ამავე დისტანციაზე პირველობდა ბელორუსიის წარმომადგენელი ქ. ანოხოვა (3:22.07,0). შეჯიბრება საკმაოდ რთულ პირობებში ტარდებოდა. ამინდი სპორტსმენებს ხელს არ უწყობდა — ახლოვდებოდა ქუხილის ზონა, მაგრამ 62 სპორტსმენიდან 46 პლანერისტმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ბედმა უმუხთლა ორიოლელ პლანერისტს, რუსეთის ფედერაციის აბსოლუტურ ჩემპიონს ტ. ზაგაინოვას, რომელმაც ამას წინათ „სამეფო დისტანციაზე" — 500-კილომეტრიან დახშულ სამკუთხედზე მგზავრთან ერთად ფრენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. პირველ ვარჯიშში მას სტარტზევე მარცხი შეემთხვა, მეორეში — ფინიშს ვერ მიაღწია, მესამეში... 13 პლანერისტ ქალში ფინიშთან უკანასკნელი მივიდა.

მრავალჭიდის პირად ჩათვლაში ვაჟებიდან ლიდერობს ე. რუდენსკი, ქალებში I ადგილზეა ლ. კლიუევა (ლატვია). გუნდურ პირველობას უკრაინის სპორტსმენები ინარჩუნებენ.

# ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## სახელგანთქმული მეფოლადის მემორიალი

**ჟდანოვი,** 20 ივლისი. მეტალურგის დღის წინ აქ დაიწყო მოკრივეთა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება, რომელიც ჟდანოვის ილიჩის სახელობის ქარხნის მეფოლადის მაკარ მაზაის ხსოვნას ეძღვნება. მემორიალი ჩქაროსნული დნობის განთქმული ოსტატისა, რომელიც გესტაპოს კედლებში დაიღუპა, მეორედ ტარდება. ამ შეჯიბრებაზე ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენელი 150 სპორტსმენი ჩამოვიდა.

ტურნირის მონაწილეებმა მაზაის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს და იქვე მიტინგი გამართეს.

# „ჯოჯოხეთის" მოციქულები

პროფესიული ველოსიპედისტების არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის — ტურ დე ფრანსის ყველაზე რთული ეტაპებია XVII და XVIII. მთაგორიან ტრასებზე არის ადგილები, სადაც სიმაღლეთა სხვაობა 1500 მეტრს აღწევს, ეს კი ამ მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეთაგან მაღალი ოსტატობის გარდა გამძლეობას და დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს. სწორედ ამიტომ XVII და XVIII ეტაპებზე („ჯოჯოხეთის ეტაპებზე") ლიდერთა შემადგენლობის ცვლას ელოდნენ. მოლოდინი სავსებით გამართლდა.

XVII ეტაპი მოიგო ფრანგმა ჟენემ, რომელმაც 226,5 კილომეტრის გავლას მოანდომა 7:02.33. აღსანიშნავია, რომ ფინიშამდე 100 კილომეტრით ადრე ჟენე და კიდევ ორი დაწინაურებული ველოსიპედისტი ძირითად ჯგუფს 18 წუთს უგებდნენ. მართალია, შემდგომში ეს სხვაობა შემცირდა, მაგრამ 12-წუთიან მარაგს ამ ტრიომ მაინც მიაღწია.

XVIII ეტაპი (220 კმ) ყველაზე სწრაფად ისევ საფრანგეთის გუნდის წევრმა პეჟონმა დაფარა — 7:17.13. აი, სწორედ ამ ეტაპზე ტურ დე ფრანსს ახალი ლიდერი გამოუჩნდა — ესპანელი მიგელი (107:18.06), რომელიც თავის თანამემამულეებთან ერთად გუნდურ პირველობასაც ინარჩუნებს (324:24.36). გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე არიან ბელგიის მეორე გუნდის წარმომადგენლები (324:26.07), ხოლო III — იტალიის ნაკრები (324:26.18).

ყველაზე აქტიური ველოსიპედისტის სახელს ინარჩუნებს ბელგიელი გოდფრუტი — 205 ქულა. იტალიელ ბიტოსის 198 ქულა აქვს. სხვათა შორის, იგი II ადგილზეა „მთების მეფის" (უძლიერესი სამთო ველოსიპედისტი) სახელისათვის ბრძოლაშიც. აქ მას სწორედ XVIII ეტაპზე გაუსწრო ესპანელმა გონსალესმა.

# „რას იღებს პელე?"

ასეთი კითხვით მიმართეს ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელს ა. მორეირას ამას წინათ პარიზში.

აი, რა უპასუხა მორეირამ.

— პელე „სანტოსში" ღებულობს ყოველთვიურ ჯამაგირს — 3.850 დოლარს. თვითეულ ამხანაგურ მატჩში, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ტარდება, პელე კიდევ იღებს 2 ათას დოლარს, ევროპაში ჩატარებული ამხანაგური მატჩისთვის — 3 ათას დოლარს.

გარდა ამისა, პელემ ბოლო 2 წლის მანძილზე „სანტოსისგან" სხვადასხვა პრემიის სახით 75 ათასი დოლარი მიიღო.

# მიტიჩის ნაკრები

იუგოსლავიის ნაკრების ხელმძღვანელმა მიტიჩმა ჟურნალისტთა თხოვნით ევროპის უკანასკნელი საფეხბურთო ჩემპიონატის საფუძველზე შეადგინა კონტინენტის ნაკრები, რომელიც ასე გამოიყურება: ძოფი (იტალია), ფაზლაგიჩი (იუგოსლავია), შესტერნიოვი (სსრ კავშირი), პაუნოვიჩი (იუგოსლავია), ფაკეტი (იტალია), ტრივიჩი (იუგოსლავია), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), მური (ინგლისი), დომენგინი (იტალია), მაცოლა (იტალია) და ჯაიჩი (იუგოსლავია).

საქრეთი [illegible]

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## მკითხველთა და ავტორთა საყურადღებოდ!

„ლელოს" რედაქცია გადავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შენობის ახალ კორპუსში (შესასვლელი ბელინსკის ქუჩიდან). ჩვენი ტელეფონებია: სამდივნოსი — 93-95-80, მასობრივი ფიზკულტურის განყოფილების, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებისა — 93-95-14, ფეხბურთის განყოფილებისა — 93-95-41, წერილების სექტორისა—93-95-40, ლიტმუშაკებისა—93-95-11, ფოტოლაბორატორიისა — 93-95-16.